ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41252105**
თარიღი:**29/07/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი “24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საქმიანობა 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები მიზნად ისახავს სოციალური რისკების პრევენციას და კრიზისებზე დროულ რეაგირებას. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვასა და გაძლიერებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის სპეციალური შეღავათების და სოციალური დახმარებების შეთავაზებით. აღნიშნული პროგრამები მოიცავს: მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, უსახლკაროებისთვის ბინის ქირის დაფინანსებას, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეების სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას, იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ზრუნვას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ხანდაზმულთათვის შინმომსახურების მიწოდებას, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების რეაბილიტაციას, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გამოკვლევას, სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფას და სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ეს პროგრამები მთლიანობაში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამებზე დაიხარჯა 1 173 947 ლარი. მათ შორის:



- ჯანმრთელობის დაცვა - 516 204 ლარი;
- სოციალურ უზრუნველყოფაზე 657 743 ლარი.
- აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა **5021 ბენეფიციარმა**.

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა).

2. მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი.

3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

- პროგრამის ხარჯმა შეადგინა 181 486 ლარი.
- პროგრამით ისარგებლა 2 212 ბენეფიციარმა.

2. ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა თანადაფინანსებას,

- ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 276 337 ლარი.
- პროგრამით ისარგებლა 670 ბენეფიციარმა. მათ შორის: 155 ონკოლოგიურ პაციენტს ჩაუტარდა სამედიცინო მომსახურება, 77 პაციენტს ჩაუტარდა მაღალტექნოლოგიური კვლევები, 438 პაციენტს დაუფინანსდა სხვადასხვა სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის 91 მოზარდია.
- პროგრამის ფარგლებში 103 მოზარდს ჩაუტარდა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება.

3. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს: სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას 70 ლარის ფარგლებში; ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. მიმდინარე წლიდან შშმ პირთათვის, ვეტერანებისა და მარტოხელა მშობლებისათვის შესაძლებელი გახდა უფასო მედიკამენტებით სარგებლობა. ა

- პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 58 381 ლარი;
- პროგრამით ისარგებლა 669 ბენეფიციარმა. მათ შორის 276 სოციალურად დაუცველმა, 324 შშმ პირმა, 49 ვეტერანმა; 17 ონკოლოგიური პაციენტმა; 3 მარტოხელა დედა.
- პროგრამით ისარგებლა 100 მოზარდმა



4. დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები. საანგარიშო წელს გამოკვლევა დაგეგმილია მესამე კვარტალში.

5. **მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით. რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. სისტემატიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა ცენტრთან არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე. მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები.

- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 213 066 ლარი.
- პროგრამით სარგებლობს 222 ბენეფიციარი.

6. **მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამის** მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

- პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 119 650 ლარი;
- ყოველთვიური დახმარება გაეწია 94 მრავალშვილიან ოჯახს,
- დახმარების მიმღები 393 მოზარდია.

7. ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ დედ-მამით ობოლ და იშვიათი დაავადების მქონე 8 ბავშვს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ორ სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.

- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 6 950 ლარი.
- დახმარება გაეწია 8 ბავშვს.

8. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება:

- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯი- 7 200 ლარი.
- დახმარება გაეწია 24 გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახს.

9. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია პროგრამის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ–ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური–ინტერდისციპლინური გუნდის, რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში არაუმეტეს 18 ინდივიდუალური სეანსისა (მათ შორის: გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტთერაპია, მუსიკალური თერაპია. მათ შორის, ჯგუფური თერაპია და სხვა. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება. მათ შორის, შესაბამისი უნარ–ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება) და კონსულტირებას ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თითოეულ ბენეფიციარზე 350 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღება შეუძლიათ 2-18 წლამდე ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეფასებული შესაბამისი ინსტრუმენტით და აქვთ დიაგნოზი: F84.0 – ბავშვთა აუტიზმი, ან F84.9 – განვითარების ზოგადი, აშლილობა დაუზუსტებელი.

- პროგრამით მომსახურება მიიღო 40 მოზარდმა.
- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 66 150 ლარი.

10. ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია 6 მოქალაქეს :

- პროგრამის ფაქტიური ხარჯი 19 000 ლარი.
- სრული ზიანის შემთხვევა -4 ; ნაწილობრივი - 2;

11. სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწიათ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან

გასულ პირებს, უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე 31 პირს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და უწევთ ბინის ქირის გადახდა; მათ შორის დახმარება გაეწიათ რეინტეგრირებული ორი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახს და 4 ძალადობის მსხვერპლს 500 ლარის ოდენობით.

- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 46 200 ლარი;
- პროგრამით ისარგებლა 35 მოქალაქემ;

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სმენადაქვეითებულ, ასევე ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებულ პირებზე ფინანსური დახმარების გაწევა განხორციელდა, ჯამში 141 ბენეფიციარზე, მათ შორის მხედველობადაქვეითებული 48 ბენეფიციარი, სმენადაქვეითებული -27, დაუნის სინდრომის, ცერებრალური დამბლის და აუტისტური სპექტრის მქონე-66 ბენეფიციარი.

- პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 53 400 ლარი.
- დახმარება გაეწია 141 ბენეფიციარს.

13. სოციალური ღონისძიების პროგრამა ითვალისწინებს დახმარების გაწევას:

- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე (3 ბენეფიციარი)
- ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეებზე (13 ბენეფიციარი)
- აგვისტოს ომის დროს და ISAF-მისიაში დაღუპულის ოჯახებზე (6 ბენეფიციარი)
- სენაკის მუნიციპალიტეტში ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე - ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით (304 ბენეფიარი).
- სულ პროგრამით ამ ეტაპისათვის ისარგებლა 320 ბენეფიციარმა;
- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 31 500 ლარი.

14. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას 200 ლარით.

- პროგრამით ისარგებლა 32 ბენეფიციარმა.
- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 32 200 ლარი.

15. **სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების (პროგრამულიკოდი 06 02 11)** პროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც მცირე შემოსავლების გამო არ აქვთ ფინანსური საშუალება უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან“ დახმარების გაცემის წესის საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა განცხადებების მიღება წარმოებდა მიმდინარე წლის 1 მაისამდე. შემოსული განცხადებებიდან კომისიამ უზრუნველყო 27 ოჯახის საჭიროებების

ადგილზე გადამოწმება. შესაბამისად, კომისიამ განსაზღვრა წლიური ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში იმ ოჯახთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები. . გადაწყვეტილ იქნა, რომ საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები შესრულდეს დახმარება გაეწევა 9 ოჯახს. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს სამუშაოების შესყიდვის პროცედურები

- პროგრამის ბიუჯეტი 120 000 ლარია.

16. მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს დღის ცენტრ „ლაზარე-2015“ თანადაფინასებას. პროგრამის მიზანია ცენტრის საქმიანობისა და შშმ ბავშვთა მხარდაჭერა,

- პროგრამით სარგებლობს 15 ბენეფიციარი.
- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5 000 ლარი.

17. პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსების (პროგრამული კოდი 06 02 13) ქვეპროგრამის მიზანია უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისათვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და სოციალური მხარდაჭერით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქმიანობათა ცენტრის ფუნქციონირება პერსონალის, მოხალისეებისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით. 12 სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხანდაზმულს რამდენიმე ეტაპად გადაეცა სასურსათო ამანათი. მიმდინარე წლის პირველ-მეორე კვარტალში სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ჰუმანიტარული ტვირთი, საბავშვო სასაჩუქრე ყუთი გადაეცა 109 ბენეფიციარს, ასევე 112 სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ოჯახებს 112 ოჯახს გადაეცა ტანსაცმელი და სხვადასხვა საჭიროების ნივთები

- პროგრამის ბიუჯეტი 20 506 ლარი.
- პროგრამით ისარგებლა 233 ოჯახმა

18. პროექტი „ვიზრუნოთ უფროს თაობაზე“ უზრუნველყოფს მარტოხელა ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას, მათთვის შინ მოვლის სერვისის მიწოდებით. მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 21 ხანდაზმულ მოქალაქეს და შშმ პირს.

- პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 45 000 ლარი.
- პროგრამით სარგებლობს 21 მოქალაქე.